**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თითონ რედაქციას, ახალ შემუთოვის ქუჩ., სახლი № 9; ბ-ნ ხიდდიკელის საგაზეთოს გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888



ორშაბათს, 4 აპრილს,

სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში

ბ-ნი ი. მეუნარგია წაიკითხავს პირველს ლექციას

**თ. გრ. ორბელიანზე**

ლექცია დაიწყება საღამოს 8½ საათზე.

---

თავადი ივანე დავითის ძე, კნიაჟნა მარია ივანეს ასული ციციშვილები და კნეინა სოფიო ანტონის ასული ბარათოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა, მეორე—დედისა და მესამე ასულისა თვისისა, კნეინა ანასტასია იოსების ასულის ციციშვილისა, და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებასა და დასაფლავებაზედ კუკიაში, კიროჩნის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, № 25, საიდამაც ცხედარს მიასვენებენ ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში კვირას, 3 აპრილს, დილის 9 საათზედ.

---

სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავადი ივანე რამაზის ძე ანდრონიკაშვილი, აუწყებს სიღნაღის თავად-აზნაურობას, რომ ამ წლის 20-ს მაისს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება იქნება და ამისათვის ვსთხოვ თავად-აზნაურთ, მობრძანდნენ სამაზრო კრებაზედ ქალაქს სიღნაღში 8 აპრილისათვის, კლუბში, დილის ათს საათზედ, სხვა-და-სხვა განკარგულებათა დასადგენად. ამასთანავე თავად-აზნაურთ უნდა წარმოადგინონ მოწმობანი და საარჩევანო საბუთების ქაღალდები. (3—1)

---

**ბანკის თეატრში**

კვირას, 3 აპრილს, იქნება 1-ლი სასიმფონიო კრება ტფილისის სამუსიკო საზოგადოებისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ზარუდნაია, ბ-ნი ლოდი, გორსკი და ოპერის ორკესტრი იპოლიტოვ-ივანოვის ლოტბარობით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.


ტფილისი, 1 აპრილი

ყოველი საზოგადოება აფასებს თავის წარსულს და პატივსა სცემს იმის გადმონაცემს და ნაანდერძევს, და ეს გარემოება განსაკუთრებულს ფერსა და ხასიათსა სდებს იმ საზოგადოების ყოფა-ცხოვრებასა. იმას, თუ რამდენად ძლიერია ეს პატივის-ცემა და სიყვარული წარსულისადმი, შეუძლიან გვიჩვენოს ხარისხი საზოგადოების განათლებისა; ესე იგი, რამდენადაც უფრო დაწინაურებულია რომელიმე საზოგადოება, მით უფრო მომეტებულის ყურადღებით ეპყრობა და უკვირდება წარსულს და მით უფრო მეტს პატივსა სცემს თავის წინაპართ, იმათ ნამოქმედარსა და მონაღვაწევს. ისკი არავინ იფიქროს, ვითომ ეს სიყვარული და პატივის-ცემა ბრმა იყოს და კრიტიკულს სჯას ეპირისპირებოდეს; არა, ნამდვილი პატივის-ცემა ის არის, რომ რომელსამე საპატიო საგანს ადამიანმა სამართლიანის თვალით შეჰხედოს, იმისი ავი და კარგი ასწონდასწონოს და ორისავე მიზეზი გამოიძიოს. სწორედ ამას სჩადიან დაწინაურებული საზოგადოებანი, რომელნიც რამდენადაც უფრო მაღლა სდგანან განათლებით, მით უფრო პატივის-ცემით ეპყრობიან თავიანთს წარსულს და მით უფრო მტკიცედ და დიდის გულმოდგინებით სწავლობენ საკუთარს წარსულს ვითარებას.

ეხლა წარმოვიდგინოთ უკან ჩამორჩომილი ერი, ან საზოგადოება, რომელსაც არც ძლიერი კულტურა და არც განათლება აქვს. ამ გვარს საზოგადოებას ანდერძით ბევრი არა მიუღია-რა თავის წინაპართაგან და არც თვითონა აქვს საშუალება, რაიმე თვალსაჩინო განძი გადასცეს მომავალთაობას. ამ გვარს საზოგადოებას უყვარს თავის ცხოვრების ვითარება, მაგრამ რაკი იმისი წარსული ისტორია ღარიბია, ან სრულიად არა აქვს, იგი მოკლებულია გონებისა და ზნეობის ფრიად საჭირო საზრდოს. ამისთანა საზოგადოებას თითქმის არა აქვს-რა, რაზედაც შეიძლებოდეს ავარჯიშოს თავისი ძალ-ღონე, აზრი და გონება და აი, სად არის იმის მიზეზი, რომ ამ გვარს საზოგადოებას, თუ-კი გარემე ვითარება ხელს არ უწყობს, არ ძალ-უძს წარსულის მიერ ნაანდერძევს შეჰმატოს თავისი წვლილი.

ადამიანის ცხოვრებაში, წარსულსა თუ აწმყოში, ავიც მოიპოვება და კარგიც და აზრის მქონე კაცის მოვალეობაა, ეს ავი და კარგი გაარკვიოს და გამოიძიოს; ამათ მიხედვით კაცს შეუძლიან ბევრი რამ ცუდი თავიდგან აიცილოს და ბევრი რამ სიკეთე შეიმატოს, თუ რომ აზრი და გონება ბეჯითად ამოქმედა. წარსული იმის წინაპართა ყოფა-ცხოვრების სურათია, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს ჩაუკვირდეს და ჩაუფიქრდეს წინანდელს ცხოვრებას. არც ერთი გონიერი, ჭკვათა-მყოფელი ადამიანი იმისთვის, რომ სურათზე ზოგი რამ ავი და არა სანატრელია გამოხატული, მთელს სურათს ერთის ხელის მოსმით არ წაშლის და ზურგს არ მიუბრუნებს, არამედ კიდევ უფრო ჩაუფიქრდება ადამიანთა თავ-გადასავალს.

გონიერი საზოგადოება არა მარტო საკუთარს წარსულსა და აწმყო ცხოვრებას ეპყრობა ყურადღებით და პატივის-ცემით, არამედ სხვისასაც, სხვაშიაც ჰხედავს ადამიანს, რომელსაც ძმურის თვალით და მოკეთის გულით შეჰყურებს. აი, სად არის ქვაკუთხედი კაცობრიობის ჭეშმარიტის წარმატებისა.

თითოეულს დაწინაურებულს საზოგადოებას კარგად შეგნებული და შეთვისებული აქვს ეს ჭეშმარიტება, და ამიტომაც დღევანდელი განათლებული კაცობრიობა სინიდისიერად და გულ-მოდგინედ სწავლობს საკუთარსა და სხვის წარსულს, აგროვებს წარსულის ნაშთებს და სცდილობს თვალ-წინ დაიყენოს რაც შეიძლება უფრო ვრცელი და ნამდვილი სურათი წარსულის ცხოვრებისა. გონიერი ადამიანი თუ ისეთს რასმე წააწყდა წარსულში, რითაც დღეს შეუძლებელია იხელმძღვანელოს, არასოდეს არ გასთელავს იმას ფეხით და არ დაივიწყებს, არამედ ჩაუკვირდება და შესაფერს ადგილს დაუთმობს წარსულის ცხოვრების შესწავლაში. ამიტომაც ყველა, ვისაც თავის წარსულის მნიშვნელობა ესმის,—სწავლობს ამ წარსულს, ჰკრებს და იძიებს იმის ნაშთებს და მრავალს ძალ-ღონეს ანდომებს ამ საგულისხმო საგანს. ევროპის დაწინაურებული ერები ამ გზას ადგანან და რაც დღე მიდის, მით უფრო ღრმად და საფუძვლიანად სწავლობენ საკუთარს თავ-გადასავალს. ამ საშუალებით იმათ ბევრი რამ ისეთი აღუდგენიათ, რაც ისტორიის ქვესკნელში მოქცეული და ერის მეხსიერებიდგან სრულიად აღმოფხრილი იყო. აი, სხვათა შორის, სად არის აზრისა და თვით-ცნობიერების მშვიდობიანის წარმატების სახსარი და ფართო სარბიელი გრძნობა-გონების სავარჯიშებლად. ის-კი არავინ იფიქროს, ვი-

---

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

ცოტად დაგვიანებული ამბავი.—ღმერთმა ჰკითხოს ქართულ მეკალენდრეებს!—ბედნიერი იქნება წლევანდელი წელიწადი, თუ არა?—ორი მგზავსი წელიწადი.—მცირე შენიშვნა.—მეკარაბადინე ამერიკელი სამოელი.—ჭკუა იხმარეთ და დაუჯერეთ.—აი თუ გაუხარდებათ ბულვარის მტკეპნელებს!—თუ არ დაჰფქვავს, ხომ დაჰროშავს?—ქალების საყურადღებოდ!—კრება ყველა ქვეყნის ქალებისა.—რით გათავდა ეს კრება?—არა, ეს განგებ მოგონილი ჭორია!—ასეთი ამბავიც ვიცით.—«მშვენიერ» ქალებთან, თუ «საძაგელ» კაცებთან?—ქალი და ჭირვეული ყმაწვილი!—გზა დაგვილოცნია!—მეხი-კი დაეცათ!

როგორი იქნება წლევანდელი წელი? რას გვეტყვის, რას მოგვიტანს,—ავსა თუ კარგსა?

— ერიჰაა! ძალიან დაგვიანებიაო,—მეტყვიან: მაგაზე უნდა წლის დამდეგსვე გეფიქრა, თორემ ეს აპრილიც დადგა და დღეს საიდამ მოგგონებია ეგ ძველი ამბავიო?

— მართალი ბძანდებით, ბატონებო, სწორედ მოგახსენოთ, მეც-კი ვამბობდი ჩემს გულში: რაღა დროს ამ[ის] ლაპარაკია-მეთქი! მაგრამ რას ღმერთმა ჰკითხოთ ჩემი ცოდო,—და თქვენიც, მკითხველო,—ამ ქართველ მეკალენდრეებს, რომ ამისთანა საყურადღებო საგნებზე თავიანთ კალენდრებში ხმას არ იღებენ. თავი დავანებოთ წვრილ-ფეხობას, ვიღაც ბ-ნთ თახათელოვს, ახპატელოვს, მდივანოვს,—წარმოიდგინეთ, თვით ბ-ნ გუნიას ვრცელ კალენდარშიაც-კი ვერა ვიპოვე-რა ამის შესახებ:—ვფურცლე, ვფურცლე, ხელები დამეღალა, და, რაც მინდოდა-კი, ვერა ვნახე. დიდი დანაშაულობა ჩაუდენიათ ყველა ამ მეკალენდრეებს, მით უფრო, რომ წლევანდელი წელიწადი ფრიად შესანიშნავი და საყურადღებოა. აბა მაშ როგორ არა ითქვას-რა, თუნდაც რომ ამ საგანზე საუბარი ცოტა დაგვიანებული და დროის შესაფერი არ იყოს.

**

ბედნიერი იქნება წლევანდელი წელიწადი, თუ უბედური, გადაწყვეტილად ვერას გეტყვით,—ზოგი რას ამბობს და ზოგი რასა. ევროპაში ამბობენ, მაგალითად, რომ ეს 1888 წელი უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებულიო,—„ბეთლემის ვარსკვლავი“ ევროპას, ეტყობა, ძლიერ აღონებს და მოსვენებას არ აძლევს.

ამბობენ კიდევ, რომ წლევანდელი წელი 1870 წლის ტყუპიაო, და ხომ გახსოვთ რა წელიწადი იყო ეს 1870 წელი? ეს ის წელიწადია, როდესაც ბისმარკმა, ამ პაწია და ულონო ჰიჰყინამ, ისე არხეინად გადაყლაპა ნაპოლეონი და ელზას-ლოთრინგი, თითქოს თავიდამ ერთი ბეწვი ამოიგლიჯაო.

— რითი ჰგავს მერე ეს 1888 წელიწადი 1870 წელსაო?—იკითხავთ.

— იმითი, რომ ამ წელსაც იმდენივე მზისა და მთვარის დაბნელება იქნება, რამდენიც 1870 წელში იყო.

— მერე რა ვუყოთ, რომ მზე თუ მთვარე დაბნელდება? ვითომ რაო, რა ახალი ამბავია?

— როგორ თუ რაო! განა არ იცით, რომ მზისა და მთვარის თვალხუჭანაობა კარგს არაფერს მოასწავებს? ეს ხომ ძველმა ქალდეველებმა და ჩინელებმაც იცოდნენ. თუ არა გჯერათ, დღესაც გამოიძიეთ და ჩვენი მკითხავები და «ქადაგებიც» ამასვე გეტყვიან.

დიაღ, წლევანდელი წელიწადი ამ მხრით ძლიერა ჰგავს 1870 წელსა. მაშინ ხუთჯერ ყოფილა დაბნელება,—სამჯერ მზისა და ორჯელ მთვარისა—წელსაც სწორედ ამდენჯერვე დაბნელდება მზე და მთვარე. ეს კიდევ რა! წესი და რიგიც-კი არ შეიცვლება,—მზისა და მთვარის დაბნელება ისევე მოჰყვებიან ერთმანეთს, როგორც 1870 წელსა. შეიცვლება ცოტად მხოლოდ დღისა და ღამის რიგი.

არავინ-კი იფიქროს, ვითომ მე იმის თქმა მინდოდეს, რომ მზე ღამით დაბნელდება და მთვარე დღისითაო. არა,—მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ერთიც და მეორეც რამდენისამე საათით დაგვიანდება,—მაგალითად, 1870 წელს მზე დაბნელდება თუ იყო, ვსთქვათ, დილით, წელს შუადღისას იქნება. სულ ეგ არის!

ეს მცირე შენიშვნა საჭიროდ იმიტომ დავინახე, რომ ზოგიერთ ჩვენს მკითხველებს, მეტადრე «აშპაშხანის უნივერსიტეტში ნასწავლებს», უყვართ ხოლმე უადგილოდ ოხუნჯობა.

**

ევროპაში ხომ ასე უბედურ წელიწადად სთვლიან ამ 1888 წელსა, და ამერიკაში, წარმოიდგინეთ, ბედნიერზე ბედნიერ წელიწადად გამოელიან. მართლაც რომ ბედნიერი უნდა იყოს, თუ დავუჯერებთ ყველაფერს, რასაც ერთი ამერიკელი, სახელად სამოელ ბენნერი, ამბობს. ან-კი როგორ არ დავუჯეროთ, როდესაც ამ ბ-ნს სამოელს ისეთი მადლი ჰქონია ზეგარდმო მონიჭებული, რომ სულ ხელის გულზე გადაგიშლით და დაწერილებით გიამბობთ თურმე იმასაც-კი, რაც რამდენისამე წლის შემდეგ მოხდება. სწორედ რომ მოგახსენოთ, მე ეს ამბავი ძლიერაც არ მაკვირვებს და მჯერა კიდეც. რა, განა აი ჩვენშიკი «ვარჟაპეტები» კარაბადინს არ გაჰხსნიან და არ გვეტყვიან ხოლმე,—წლის განმავლობაში აი ესა-და-ეს მოხდებაო. ესეც ხომ სომხებს იჯარით არ აუღიათ?

აი იმ ამერიკულს სამოელსაც სწორედ ასე გაუშლია კარაბადინი და ბევრი საუცხოვო და საყურადღებო რამ ამბები შეუტყვია. ყველაზე-კი ვერ გეტყვით, და ზოგიერთი ჩვენთვისაც გამოსადეგი იქნება. აი თუნდ ესა:

«ვინც-კი გაჰბედავს და ახალს რასმე საქმეს დაიწყებს ამ წელსა, დიდს სარგებლობასა და ხეირსა ჰნახავსო. მეტადრე დიდს ხეირს მისცემს მადნეულობის საქმეო».

ჩვენმა მემამულეებმა რომ ჭკუა იხმარონ და ამ ამერიკელს დაუჯერონ, არ ინანებენ. მაინც მიწები უქმად უყრიათ! მაშ ხარჯს ნუ დაიშურებენ, დაიბარონ ინჟენერები, თხარონ მიწა,—და ოქროს ზოდებს თუ ვერ მიადგებიან, „შავ ქვას“ ხომ უთუოდ იპოვნიან.

«ფულიან კაცს ერთი ათად შეუძლიან ასარგებლოს წელს ფული:

თომ ჩვენ ვისმე ვურჩევდეთ მუდმივ სამარეში იცქიროს, არა. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ წარსულის საფუძვლიანად ცოდნას შეუძლიან ბევრი კარგი რამ გიდევ შეგვძინოს.

აქედგან ცხადია, რომ ჩვენთვის საკუთარის წარსულის შესწავლა აუცილებელი მოვალეობაა, თუ გვინდა, რომ ნათელი მოვფინოთ ჩვენს ცხოვრებას. ჩვენ მრავალჯერ გვითქვამს, რომ ამ ფრიად საგულისხმო საგანს ძლიერ ნაკლებად მივსდევთ; რომ ზოგიერთმა ჩვენგანმა ბევრად უკეთ იცის სხვისი ისტორია და ცხოვრება, მაშინ-როდესაც საკუთარისა თითქმის არა გაეგება-რა. ამ საგანს ჩვენ მეტი ყურადღება უნდა ვათხოვოთ, რადგანაც ჩვენ მიერ ჩვენის წარსულის შესწავლას განსაკუთრებული თვისება და ხასიათი აქვს. მაშინ, როდესაც სხვებს უფრო კარგად დაცული აქვთ წარსულის ნაშთები, წარსულის ნამოქმედარი და მონაღვაწევი და, მაშასადამე, უფრო მეტი საშუალება აქვთ თავიანთი თავ-გადასავალი შეისწავლონ, ჩვენის ცხოვრებიდგან-კი მღელვარე ისტორიულს ცხოვრებას ბევრი რამ სამუდამოდ აღუხოცავს, თუმცა ბევრი რამ დღესაც დაცული და შენახულია, და ის, რაც დაცულია, ისტორიას ისე გაუფანტავს დედამიწის ზურგზე, რომ იმის ერთად მოგროვება და გამოყენება თუ სრულიად არა, მეტად ძნელი მოსახერხებელია. ჩვენის ცხოვრების ნაშთები შესაძლოა იპოვოთ სპარსეთსა და ოსმალეთში, საბერძნეთსა და რომში, საფრანგეთსა და რუსეთში და მრავალ სხვა ადგილებშიაც და რაკი ასე განფანტული და გაბნეულია, ძნელად ხელ-მისაწდომელია. ისტორიას ბევრი რამ ისე გაუნადგურებია, რომ იძულებულნი ვართ წარსულის ნაშთები ნამეც-ნამცეცად ვაგროვოთ და თითო ნამცეცი ნამდვილ მარგალიტად მივიჩნიოთ. ეს სიძნელე იმის საბუთი-კი არ არის, ვითომ ჩვენთვის შეუძლებელი იყოს წარსულის შესწავლა: დახელოვნებულს მეცნიერს რომლისამე უცნობის და სამუდამოდ გადავარდნილის ცხოველის ერთის ძვალის გასინჯვის შემწეობით შეუძლიან აღადგინოს მთელი სურათი იმ ცხოველისა და წარმოიდგინოს იმის აგებულება და ხასიათი.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ დარწმუნებით შევიტყეთ, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორი ბ-ნი ბიკოვი იმავ სასამართლოს თავ-მჯდომარედ დაუნიშნავთ და თავ-მჯდომარე სასამართლოსი ბ-ნი სმიტინი — პალატის პროკურორად.

*** ამ დღეებში ოც-და-ათი თუმანი მოუვიდა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ერთის წევრისაგან, რომელიც ამას შემდეგ ამ საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა შორის იქმნება ჩარიცხული მთელის თავის სიცოცხლის განმავლობაში.

*** მისმა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსმა თავისის მეცადინეობით და ხარჯით გაამართვინა რკინის გზაზე ბაქანი სოფ. ძეგვთან, შიო-მღვიმის მონასტრის პირდაპირ, სადაც მატარებელი ჩერდება მგზავრთათვის დღეში ოთხჯერ. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ახლო-მახლო სოფლებისათვის, რომელთა მცხოვრებნი ძლიერ ემადლიერებიან მისს ყოვლად სამღვდელოებას, რადგანაც ბაქნის გამართვამდე ქსნის სადგურზე სიარული და მტკვარზე ბორნით მოგზაურობა ძალიან უჭირდათ და მისვლა-მოსვლა ძალიან უძნელდებოდათ.

*** ბ-ნი სტატკოვსკი, სატეხნიკო საზოგადოების თავ-მჯდომარე, აუწყებს ამ საზოგადოების წევრთა, რომ 30 აპრილს შეიძლება დათვალიერება სურამის გვირაბისა და ვისაც თქვენგანს ჰსურს ჰნახოს, როგორ არის გაკეთებული სურამის გვირაბი, წინდაწინვე გამოაცხადოს თავისი სურვილიო. სურამში წამსვლელთა საზოგადოების წევრთათვის ცალკე მატარებელი წავა ტფილისიდამ დილის 8 საათზე.

*** ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი აცხადებს გაზეთებში, რომ ხელ-მეორე ვადა დავნიშნე კრებისათვის და ვთხოვე თავად-აზნაურთ, ახლა მაინც მობრძანდნენ ამ კრებაზეო. ეს კრება დანიშნულია 10 აპრილისათვის.

*** შაბათს, 2 აპრილს, კავკასიის შტაბის სადგომში კრებაა დანიშნული საგეოგრაფიო საზოგადოებისა. ამ კრებაზე წაიკითხავს თავის მოხსენებას ნ. ა. ნატოვიჩი ქიშმირისა, ლადანისა და მცირე ტიბეტის ქვეყანაზე, ხოლო გ. ს. ხატისოვი ყაზბეგის მყინვარზე.

*** ქართულს თეატრში კვირას, 3 აპრილს, სამუსიკო საზოგადოება ჰმართავს 1-ლს სასიმფონიო კრებას. კრებაში მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ზარუდნაია და ბ-ნნი ლოდი, გორსკი და ოპერის ორკესტრი იპოლიტოვ-ივანოვის ლოტბაროობით.

*** ოთხშაბათს, 30 მარტს, ტფილისის საზრანიაში საზოგადო კრება ყოფილა წევრთა. სარევიზიო კომისიას წაუკითხავს მოხსენება და სხვათა შორის კლუბის ანგარიშში რამდენიმე უსწორ-მასწორობა აღმოჩენილა და ამას გარდა 10,000 მანათამდე მეტი დაუხარჯავთ კლუბის ფულიდგან. ამის გამო საზოგადო კრებას გადაუწყვეტია, რომ ეს მოხსენება გარდაეცეს კლუბის სტარშინების კრებას, რათა სტარშინებმა მოიწვიონ ისინი, ვინც განაგებდა კლუბის ხარჯსა და შემოსავალს, და გამოიძიონ მეტის ფულის დახარჯვის მიზეზიო.

*** «Нов. Обоз.»-ეს გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია ბ-ნის ფილიპოვიჩის წერილი. ბ-ნი ფილიპოვიჩი სთხოვს რედაქციას: გამოაცხადეთ, რომ „ვეფხის-ტყაოსნიდგან“ ცხოველის სურათების დადგმა ვილაც ბ-ნ კანდელაკისა და თამაზოვისათვის მე სრულიადაც არა მსურსო, ამ ვაჟბატონებს აფიშებში ჩემი სახელი ჩემ დაუკითხველად და დაუთანხმებლად გამოუცხადებიათო.

*** ფოთი: მას აქეთ, რაც ჩვენს მხარეს ბათუმი შემოუერთეს, ბევრს ეგონა, რომ ფოთის საქმე ხელიდგან სრულიად წასულიაო, მაგრამ დღითი-დღეზე იმედი გვეძლევა, რომ ფოთელები არც ისე დაკარგულნი ვართ. მაისის დამლევს დაასრულებენ აქაურს ნავთ-სადგურს და იმედია, რომ ეს გარემოება შესამჩნევად წინ წასწევს ფოთსა.

ამას წინად აქ მოვიდა ბ-ნის ნოვოსელსკის რწმუნებული, რომელმაც ქალაქისაგან დაიქირავა 600 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა ნახშირის დასაწყობად, ნავთ-სადგურის მახლობლად. სხვათა შორის ეს იმით არის სასიამოვნო, რომ ფოთიდგან წელიწადში გაიგზავნება თითქმის ხუთ მილიონ ფუთამდე ნახშირი, რომელიც ქალაქს მისცემს შემოსავალს არა ნაკლებ ასის თუმნისა.

ფოთელებს დიდი იმედი აქვთ ქალაქის განკარგებისა და გამდიდრებისა და ამიტომაც შეუდგნენ სახლების აშენებას: ამ ერთის წლის განმავლობაში ოც-და-ათამდე ახალი სახლი ააშენეს, უმეტეს ნაწილად ხისა.

*** იქიდამვე: ფოთელები ძალიან შეწუხებულნი ვართ უხიდობის გამო. ქალაქი ძალიან დაშორებულია ნავთ-სადგურზე და მცხოვრებნი და მგზავრნი იძულებულნი არიან გემით იარონ ქალაქიდგან ნავთ-სადგურამდე. ხიდი რომ გააკეთონ რიონზე, მაშინ ქალაქიდგან პირდა-

---

ისეთი ბედნიერი წელიწადია, რომ ვაჭრობაში ჩადგება, თუ მრეწველობას მიჰყობს ხელსა, — ერთის სიტყვით, რასაც-კი ხელს მოჰკიდებს, ყველგან დიდს მოგებას ჰნახავსო».

ასე რომ, რაც ქუჩაში უსაქმო ხალხი დაიარება და რასაც ესენი ფეხით მტვერს აყენებენ, — ეს რომ შეაგროვოს კაცმა და ვაჭრობა დაიწყოს, — ამაშიაც-კი მოგებასა ჰნახავს.

აი თუ გაუხარდებათ «ბულვარის მტკეპნელებს»!!

ამერიკელი სამოელი არავის ურჩევს ამ წელს დიდრონ შენობისა და სასახლეების გაკეთებას. რატომ? — ვერ გავიგე, — თვით სამოელი ამაზე არაფერს ამბობს. და აი რკინის გზის გაყვანა, წისქვილების გაკეთება-კი ძალიან სარფიანი საქმე იქნებაო.

რკინის გზებზე-კი აბა რა მეთქმის, — ჩვენში მაგის ფული ვისა აქვს, — და წისქვილებზე-კი ყველას მიუწვდება ხელი. თუ სამოელის რჩევას მიიღებს ვინმე და მართლა საქმეს შეუდგება, ურიგო არ იქნებოდა, რომ ჩემის დარიგებისათვისაც ყური მიეგდოთ: — თუ წყლის წისქვილს გაჰმართავენ, უთუოდ ისეთ ადგილას მოაწყონ, სადაც წყალი ქათამსაც ფეხს ძლივს უსველებს; თუ ქარის წისქვილს, — უთუოდ ზენა ქარით დააბრუნონ ფრთები. ასე მოწყობილს წისქვილს ის სიკეთე ექმნება, რომ იაფად დაჯდება, და თუ კარგად ვერ დაჰფქვავს, დაროშით ხომ უთუოდ დაჰროშავს. დასაროშავად-კი, ღვთის მადლით, ჩვენში საფქვავი არ მოაკლდება!..

ამის მიხედვით, ასე ვგონებ, რომ ახალის გაზეთის დაარსებაც ზარალს არავის მისცემდა. თუ წმინდა საფქვავისათვის საფანელი არ ეყოფოდათ, საროშავად ხომ მასალა არ დააკლდებოდათ. სულ ერთია, გაზეთს გაზეთი ერქმეოდა და მკითხველებს ხომ ველარ აუვიდოდა. სხვა მეტი ხომ საჭირო არაფერია!

განსვენებული «თეატრი» წელს რომ დაბადებულიყო, ან გაცოცხლებულიყო, იმის ბედს ხომ ძაღლი აღარ დაჰყეფდა?!.

«ვისაც მოსწონს და სურვილი აქვს, ცოლ-ქმრობის უღელში შეებას, ნუ დაიგვიანებს, წელს ეცადოს: კიდევ მალე არ შეჰხვდება ასეთი ბედნიერი წელიწადი ცოლ-ქმრობისათვისაო», ამბობს იგივე ბ-ნი სამოელი.

მოგვყავს ეს წინასწარმეტყველება ქალების საყურადღებოდ!..

**

ქალებსაც რომ დაეწყოთ რაიმე საქმე ამ ბედნიერს წელიწადს, სწორედ რომ კარგი იქმნებოდა. ბევრი საქმე შეგვეძლო აგვეჩინა, მაგრამ არა ღირს: — ყველაფერს დავიჯერებთ და იმას-კი, რომ ქალებმა საქმეს ხელი მოჰკიდონ, ვერ დავიჯერებთ. რატომ? რასაკვირველია, არა იმიტომ - რომ ქალები თავის თავის მტრები იყვნენ; არა, მაგრამ როგორღაც ყოველთვის ისე მოხდება ხოლმე, რომ საქმეს დაიწყებენ და თითქოს კეთილ საქმესაც, და ბოლოს-კი ვერასოდეს ვერ გაატანენ.

ამიტომ არა მჯერა, რომ ამ წელიწადმაც უშველოს რამე. შესაძლოა ამერიკელი სამოელი ნამდვილად გულთ-მისანიც იყოს, მაგრამ ქალების შესახებ-კი იმის სიტყვაც გაცრუვდება.

არ იფიქროთ, ვითომ მარტო ჩვენში იყოს ასე. არა, სხვაგანაც ეგრე ყოფილა. აი თუნდ იმავ ამერიკის ქალების მაგალითს შევხედოთ.

ამერიკელ ქალებს განუზრახავთ ქალების კრება გამართონ ამერიკის ერთს რომელსამე ქალაქში და ამ კრებაზე ყველა ქვეყნის ქალები მოიწვიონ. კარგი და პატიოსანი! ღმერთმა ხელი მოუმართოთ! მეტი რა გვეთქმის? დიე შეიკრიბნენ, მოილაპარაკონ, თავიანთი დარდი, ნაღველი შესჩივლონ ერთმანეთს და როგორც ხელი გაუწვდებოდეთ, საქმეს და თავს ისე უშველონ.

შეკრებილან, თავი მოუყრიათ ერთად ყველა ქვეყნის ქალებსა (სამწუხაროდ, ის-კი ვერ შევიტყეთ გაზეთებიდამ, ქართველ ქალების მხრითაც ყოფილა ვინმე კრებაზე, თუ არა). დიახ შეიკრიბნენ და შეუდგნენ საქმესა... მაგრამ რას ვამბობთ! ჯერ საქმე არც-კი დაეწყოთ, რომ რაღაც უსიამოვნობა და აყალ-მაყალი ჩამოვარდა. ასტყდა თურმე ყვირილი, დატრიალდნენ, გაკაპასდნენ, ჯარასავით დაატრიალეს ენები და ნაზის პირით ისეთ მწვავე ისრებს ჰსტყორცნიდნენ ერთმანეთს, რომ მეტი ღონე არ იყო, კრება უნდა დაშლილიყო.

მერე რამ ჩამოაგდო ასეთი განხეთქილება? ორს მიზეზს ასახელებენ გაზეთები: ერთი, რომ ვერ მოშველდნენ და ვერ ამოირჩიეს თავ-მჯდომარე და მდივანი, — ყველას თითონა ჰსურდა თუ არ თავ-მჯდომარეობა, მდივნობა მაინცაო.

მეორე?... ქალებს წინადვე გადაუწყვეტიათ თურმე, რომ არც ერთ მამაკაცს ჩვენს კრებაზე ფეხი არ გავატარებინოთო. და აი ბოროტი ენები ამბობენ, რომ ეს იყო თავი და თავი მიზეზი განხეთქილებისაო.

აბა რა დასაჯერია! არა, ეს განგებ მოგონილი ჭორი უნდა იყოს ქალების მტრებისაგან. მეც სწორედ ეგრე მგონია, თუმცა, სულ ქვეშ რომ ვსთქვათ, ასეთი ამბავიც-კი ვიცი.

**

ეს ამბავი ინგლისში მოხდა. ერთს რკინის გზაზე ვაგონში, სადაც ქალები და ვაჟები ერთად იყვნენ არეულნი, ერთს ქალს ვიღაც კაცი უზრდელად მოექცა. ამ ამბავმა, რასაკვირველია, ყველას გული აუმღვრია. ქალებმა ხომ დაჰკრეს დაფი და ნაღარა, ააყოლეს საყვირი და მთელი ინგლისი შესძრეს. ყველაზე მეტი, აშკარაა, რკინის გზის მმართველებს მოჰხვდათ.

— როგორ თუ ასეთი უწესოებაა რკინის გზებზე, რომ ქალი და კაცი ერთსა და იმავე ვაგონში სხედანო. არა, ამას ჩვენ ვერ შევიწყნარებთ. გთხოვთ და, არამც თუ მარტო გთხოვთ, გიბძანებთ, რომ ქალებისათვის უთუოდ ცალკე ვაგონები იყოს გამართულიო. კაცები ისეთი საძაგლები არიან, რომ იმათთან სიარული აღარ შეგვიძლიან, აღარა გვსურსო.

რკინის გზის მმართველებს, რასაკვირველია, ხმა, კრინტი არ დაუძრავთ. ან-კი რა უნდა ეთქვათ: — რაც მართალია, მართალია, ქალების ბაგით თვით ჭეშმარიტება ჰღაღადებდა. თუნდა ესეც არა ყოფილიყო, აბა ჭირვეულობას რა წამალი აქვს? ყველაზე უკეთესი, რასაკვირველია, ის იქნებოდა, რომ ქალების სურვილი დაუყოვნებლივ აესრულებინათ, — ჭირვეულ ყმაწვილებსაც ასე დააშოშმანებენ ხოლმე.

ასეც მოიქცნენ რკინის გზის პატრონები: არამც თუ ერთი-ორად და ერთი-სამად, როგორც თვით ქალები თხოულობდნენ, ერთი - ათად მოუმატეს ქალებისათვის ცალკე ვაგონები.

გაიარა ხანმა, დრომ. რკინის გზის მმართველები სიამოვნებით ულვაშებს იგრეხენ და ჩუმ-ჩუმად, ეშმაკურად გულში ჩაიცინებიან. რა აცინებთ? — რა და ქალების ყმაწვილური ჭირვეულობა, ქინიანობა, უხასიათობა. ჯერ იყო და ხომ კინაღამ თავზე კაკალი არ დაამტვრიეს ამ საწყალს კაცებს, რკინის გზის მმართველებს, როგორ თუ ქალებსა და კაცებს ერთად ჰსხამთო.

რკინის გზის პატრონებმა გულწრფელად აღიარეს თავიანთი დანაშაულობა, ბოდიში მოიხადეს და ქალები ცალკე ვაგონებში მიაბძანეს. მერე, გული მოიჯერეს ქალებმა, კმაყოფილნი დარჩნენ?..

თქვენგან არ მიკვირს!.. გაიარა ექვსმა თვემ. გამოიანგარიშეს, გამოთვალეს მოგზაურების რიცხვი და იცით რა აღმოჩნდა: — ექვს თვეში მარტო ერთ საზოგადოების რკინის გზებზე შვიდი ათას ქალს გაევლო. და, წარმოიდგინეთ, ამათში მხოლოდ ორი ათასი ქალი მჯდარა საკუთრად ქალების ცალკე ვაგონებში, დანარჩენი ხუთი ათასს-კი სამჯობინაროდ დაუნახავს ისევ „საძაგელ“ მამაკაცებთან ერთად მოგზაურობა, ვიდრე ცალკე თავის «მშვენიერ» დობილებთან!..

რა ამბით და რა ყოფით-კი იყო დაწყებული საქმე, რომ ქალებისათვის ცალკე ვაგონები გაეკეთებინათ. მერე და ნუ იტყვით, რომ „ქალი“ და «ჭირვეული ყმაწვილი» ერთიაო?

ღვთის წინაშე, ისიც კია, რომ ეს ამბავი წელს არ მომხდარა. აი თუ წელს შეუდგებიან თუნდ ასეთს საქმეს, ან სხვას მოსძებნიან, იქნება გახდნენ რასმე.

გზა დაგვილოცავს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ!..

ახლა კიდევ იტყვიან, «ივერია» ქალებს ემტერებაო. ჩვენ-კი არ ვემტერებით, ის ოხერი გაზეთებია, რომ ამისთანა ამბებს უკრეფენ ქალებსა. ესეც-კი საკითხავია, თითონ ქალები რად აძლევენ ამისთანა საბუთებს იმ წყეულ არა მკითხე მოამბეებსა. მეხი-კი დაეცათ, კარგები ისინი არიან!.. ჩვენ-კი ნურას უკაცრავად. როგორც გვიყიდნია, ისევე ვყიდით.

დონ-იაგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირ შეიძლება გასვლა ნავთ-სადგურის მხარეზე. ხიდის გაკეთება მით უფრო ადვილია, რომ უმთავრესი საჭირო მასალა მზად არის; ხე-ტყე ქალაქს საკუთარი აქვს. ქალაქმა უნდა იკისროს მხოლოდ წვრილმანი ხარჯი.

*** საგურამო: ჩვენსკენ ამ ჟამად გაცხარებული ხვნა-თესვაა. დრო ძვირფასად ჰღირს გლეხ-კაცობისათვის და ამიტომ ყველა გუთანს ეშურება. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ბევრის დრომაც ეხლა მოაწია და ვისაც ბეგარაში გასვლა შეხვდა, ნება-უნებურად უნდა ხელი აიღოს მუშაობაზე და წავიდეს ბეგარაზე. არავითარი განსაკუთრებული მდგომარეობა არ იხსნის გლეხს ამ აუცილებელის ბეგრისაგან. აი მაგალითები: ისაკა პავლეურმა ბეგარაში ფეხი იტკინა, მაგრამ მაინც არ ეშვებიან, კიდევ უნდა წახვიდეო. გლეხმა ფული აძლია, ჩემი სამაგიერო სხვა გაგზავნეთო, მაგრამ მაინც არავინ შეისმინა იმისი თხოვნა. ივანე ბულაშვილს, რომელიც მეძროხედა სდგას და უსახლ-კარო მოჯამაგირეა, შეხვდა ბეგარაზე წასვლა. ძროხაზე ხელი ააღებინეს და გაჰგზავნეს. საქონელი უპატრონოდ დარჩა. რამდენი მოსცდა გუთანს, ამას ხომ ვინ ჩამოსთვლის. დიდად სასარგებლო იქნებოდა, რომ ბეგარა მაშინ დაეძახნათ, როცა გუთანს მორჩებოდა ხალხი, ესე იგი 15 აპრილიდგან მაინც.

*** ფოთში ახლად აუშენებიათ ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, რომელიც დანიშნულია მღვდელ-მთავრის საცხოვრებლად ორის წლის ვადით უფასოდ და რომელსაც ფოთის ქალაქი სამუდამოდ აძლევს ეპარქიის მთავრობას უფასოდ, თუ სასულიერო სასწავლებელს გადამოიტანენ ახალ-სენაკიდამ ფოთში. სახლი სწორედ მშვენიერია და კარგ გეგმაზედ აშენებული; ადგილზედაც კარგზედ სდგას. მხოლოდ ერთი-ორი ნაკლულევანება აქვს. არ არის შენობაში სასახლის ეკკლესია და სამზარეულოც უადგილო ალაგსა აქვს, მეორე სართულში.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება შესდგება მაისში. („მწყემსი“)

*** 31 მარტის ღამეს, პოლიციის მე-5 ნაწილში, მოქალაქე სტეფანე სარქისოვის სახლის კლიტე გაუტეხნიათ და გაუტანიათ საწერლო სტოლიდგან ფული და სხვა-და-სხვა ნივთები, სულ 300 მანათისა. გამოძიება სწარმოებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქუთაისი, 30 მარტი. 27-ს ამ თთვეს, კვირა საღამოს, მოწვეულნი იყვნენ წევრნი აქაურის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა ჩვეულებრივს მორიგს კრებაზედ. ამ კრებას შემდეგი განსახილველი საგნები ჰქონდა:

1) წლიურის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

2) ერთ-ერთის დირექტორის ამორჩევა.

3) ზოგიერთის ცვლილების შემოღება საზოგადოების წესდებაში.

მკითხველი ამ საგნების ჩამოთვლის შემდეგ იფიქრებს, რასაკვირველია, რომ აი გაჩნდა დას-დასობა, შეიქმნა მითქმა-მოთქმა, ვექილობის ქაღალდების შოვნა და წარდგენა, სინიდისის ძალ-დატანებაო, ე. ი. ყველა ის პირადობა, რომელიც სჩვევია ქუთათურებს მოხელეების ამორჩევის დროსაო. ყველა ამაებს იფიქრებს მკითხველი, რადგან დირექტორის არჩევას დაინახავს განსახილველ საგანთა შორის, იფიქრებს და ძლიერაც მოსტყუვდება. ამის მიზეზი გახლავთ ისა, რომ რიგით გამოსასვლელი დირექტორი იყო ბ-ნი კირილე ლორთქიფანიძე. საკვირველია კირილეს მიმართ ქუთათურების ქცევა. კირილეს მთელი ქუთაისი იცნობს, მაგრამ არავინ-კი არ არის იმასთან დაახლოვებული. ვისაც უნდა ჰკითხოთ კირილეზე, რა კაციაო? ყველა გეტყვის: პატიოსანი, უანგარო, ბეჯითი და საურთიერთო ნდობის დაწესებულებისათვის დედა-ბოძიო. კირილეს ყოველთვის უკენჭოდ, ერთ-ხმად ირჩევენ. საკვირველია ეს მხოლოდ ქუთათურებისათვის, რომელთაც თვით მზე ვერ წარმოუდგენიათ ულაქოდ და რომელთაც ისეთი კაცი არ ამოურჩევიათ რომელ სამე ამოსარჩევ ალაგზე, რომ ამომრჩეველთ წინაშე მუხლი არ მოედრიკოს და თეთრი კენჭი არ ჩამოეთხოვოს. ერთის სიტყვით, კირილეს ქუთაისში ისე უყურებენ, როგორც ძველ დროში ათინელები არისტიდს, და შეიძლება ოდესმე კირილესაც ის საქმე მოუვიდეს, რაც არისტიდს მოუვიდა, ე. ი. ნამეტანის სიპატიოსნისათვის განდევნილ იქნას საზოგადოებიდამ. მაგრამ ჯერ-ჯერობით აქამდე არ მიუღწევია, ღვთით, საქმეს და ქუთათურებიც აშორებულნი არიან ენებათა ღელვას იმის არჩევანის დროს.

ხომ ასე უყურებენ ქუთათურები კირილეს, მაგრამ დახედეთ უმადურობას, არც ერთი იმისი უგულითადესი წადილი და წინადადება არ შეუსრულა საზოგადოებამ არც შარშან, არც წრეულს. ამის მიზეზი სხვა რამ არის, მაგრამ იმის გამოკვლევა ერთობ შორს წაგვიყვანს და სჯობს ისევ კრებას დავუბრუნდეთ.

ხალხი დიდის ზოზინით შეკრბა. კრების თავ-მჯდომარედ დაასახელეს თავდაპირველ ბ-ნი ლ. ასათიანი, რომელმაც ულონობა მოიმიზეზა და უარი სთქვა. ამ დროს ერთმა თუ ორმა წამოაყრანტალა ბ-ნ მალევსკის სახელი, ამ ბანკის ადრინდელ მმართველისა. ბ-ნმა მალევსკიმ ბევრი აღარ იცადა, ადგა და დაიჭირა თავ-მჯდომარის სავარძელი. თუმცა საზოგადოება იმ წამსვე გამოერკვა და დაიწყო ყაყანი: ჩვენ ქართულის ენის მცოდნე თავ-მჯდომარე გვსურსო, ბევრს ჩვენგანს არ ესმის რუსული ენაო, მაგრამ მალევსკიმ აღარავის დაუთმო ერთხელ დაჭერილი სელი და ძლივ-ძლივობით იგუა თავ-მჯდომარედ დასახელებული ბ-ნი ლოლუა თავის თარჯიმნად. საკვირველია ზოგიერთა კაცის მეტიჩრობა!

წაიკითხეს რევიზიის კომისიის მოხსენება. კომისია ამბობს, რომ ჩვენ განვიხილეთ ყველა საბუთები, დავთრები და წიგნებიო. ყველაფერი ურთიერთის თანხმად და წესიერად არის შედგენილი და წარმოებულიო. ამასთან არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთო, რომ ამ ორ-სამს წელიწადში შრომა მოხელეებს მოჰმატებიათ ერთი მეოთხედად და წმინდა მოგებაც ბანკს ერთის მესამედის ოდენა მოჰმატებიაო. ამის გამო წარუდგინეს თითქმის ყველა მოხელეები საზოგადოებას, როგორც ღირსნი: ზოგი ჯილდოსი და ზოგი ჯამაგირის მომატებისა. აქ ხალხმა შეჰქმნა ტოკვა და ყოყმანი.

რჩევამ მოახსენა საზოგადოებას, რომ ჩვენ 12-ჯერ შეგვიმოწმებია ამ წელიწადში კასა და ყოველ ნაირი განძეულობა და ყოველთვის უნაკლულო აღმოჩენილა ერთიცა და მეორეცაო. ზარალი ბანკს წრეულს არაფერი უნახავსო. არც ერთი ვექსილი პროტესტში არ ჩავარდნილაო. ბანკის მდგომარეობის განკარგების გამო მან შესძლო სესხის უფრო იაფად გაცემა (2% ნაკლებ) და წმინდა მოგება ამით მაინც არ შემცირებულა, ასე რომ სამუშაო თავენს ფულს ასზე 11,50% ერგება წევრსა და გარდახდილს სარგებელზედ ასზედ 6,34% დაუბრუნდება პრემიათაო. ბოლოს რჩევამ წარადგინა კიდეც სარჩიელი, რომ უნდა დაჯილდოვდნენ მოხელენიო. ანგარიშის განხილვის დროს ზოგიერთმა წევრმა მისცა გამგეობას ცოტად თუ ბევრად საბუთიანი შენიშვნა, რაზედაც გამგეობამ თავის საბუთი წარუდგინა და საზოგადოება დაკმაყოფილდა. ამ შენიშვნებში საყურადღებოა თვით ბ-ნ მალევსკის შენიშვნა, რომელიც უადგილოც იყო და შეუსაბამოც. პირველი შენიშვნა შეეხებოდა სახელდახელო ანგარიშს (текущій счетъ). 1) რატომ ყოველს თთვისა და თთვის თავზე არ არის დაწვრილებით იმის მსვლელობა მოყვანილი ანგარიშშიო. გამგეობამ მოახსენა, რომ ეგრე შედგენა ანგარიშისა მხოლოდ ტყუილ-უბრალო გაზეიადება და გაბერვა იქნებოდა საქმისაო. არც ერთ საკრედიტო საზოგადოების ანგარიშში, გარდა ტფილისისა, არ არის მაგრე საქმე წარმოებულიო. 2) რევიზიის კომისიამ რატომ არ გვიამბო რამე ხარჯთ აღრიცხვისა, თუ როგორ იყო იგი ხარჯთ-აღრიცხვა დაცული და შესრულებულიო. ამაზე უპასუხეს, რომ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ სათქმელი არაფერი გვქონდა, რადგანაც რიგიანად იყო შესრულებული და დანიშნულსა და გადადებულს ფულს არაფერი გადასცილებიაო. ამას გარდა, როცა თვითონ თქვენ იყავით მმართველად, რატომ მაშინ არ გახსოვდათ ყოველივე ის, რასაც ეხლა ითხოვთო.

ბ-ნი მალევსკი ცოტა არ იყოს ამრეზილია ამ ბანკზე მას აქეთ, რაც თავი დაანებებინეს იქ სამსახურსა. ის გახლდათ გუბერნიის სოვეტნიკი და თან ბანკის მმართველობასაც ასრულებდა, მაგრამ ახალის განკარგულების გამო ერთ-ერთის თანამდებობისათვის თავი უნდა დაენებებინა. ბევრი იტირა და იწუწუნა საზოგადოების წინაშე შარშან, მაგრამ მაინც უნდა აელო ხელი ბანკში სამსახურზე. ჯილდოდ-კი მიიღო ასი თუმანი საზოგადოებისაგან, არ ვიცი ცრემლებისა, თუ სხვა რამ სამსახურისათვის. სამაგიეროც-კი გადაუხადა იმან ბანკსა: თავისი ნდობა მოაკლო რამდენადმე. ამას წინად ამ ბანკში 1,500 მანათი ჰქონდა საწევრო ფული და, რა-კი გადადგა, თითქო უიმისოდ ბანკი დაიღუპებაო, ას მანათზე დააყენა თავისი საწევრო წილი. თუ მალევსკის მართლა ჰყვარებოდა ეს ბანკი, როგორც ის შარშან თვალ-ცრემლიანი გვარწმუნებდა, არც ესე მოიქცეოდა წელსა.

შემდეგ გამგეობამ წინადადება მისცა საზოგადოებას, განმეორებით ვსთხოვოთ მინისტრს, რომ ნება მისცეს საზოგადოებას, ისე, როგორც ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაშია, არა-წევრთაგანაც მიიღოს ხოლმე ფული სახელდახელო ანგარიშზეო, და რათა ამ თხოვნაზედ უარი არ გვითხრან, როგორც ამას წინად გვითხრეს, განვსაზღვროთ, რომ ამ გვარი ფული მხოლოდ 150,000 მანათამდე მივიღოთ. საზოგადოებამ ერთ-ხმად შეიწყნარა ეს წინადადება.

დირექტორად ერთ-ხმად აირჩიეს ისევ კირილე. ასე ტკბილად და მშვიდობიანად მიდიოდა კრების საქმე, ვიდრე ლაპარაკი არ ჩამოვარდა ჯამაგირების მომატების თაობაზე. საურთიერთო ნდობის ბანკში ეს კითხვა თავის დღეში არა ყოფილა მწვავე კითხვა. ყოველთვის აჯილდოვებდნენ მოხელეებს დიდის კმაყოფილებით, რადგან ბანკი დღითი-დღე წარმატებაში შედიოდა, მაგრამ წლეულს გამოურბინა რაღაცა ეშმაკმა და მთელი საზოგადოება, ერთის კვირით დამზადებული, ამ საგნის განხილვის დროს ასტყდა: «არ გვინდა მომატება, არ გვინდაო!» ვერც სიტყვამ, ვერც საბუთებმა ვერ იმოქმედა გაჯიუტებულს ხალხზე. ბოროტი ენები ამბობენ, ვითომ ამის მიზეზი ყოფილიყოს ერთი იმ ბანკის მოხელე, რომელიც არ იყო მოხსენებული მათ შორის, ვისაც უნდა მოჰმატებოდა ჯამაგირი და არ იყო მოხსენებული, იმიტომ-რომ ცოტა ხანია რაც მსახურობს და სწორედ ორჯელ მეტს ჯამაგირსაც იღებს ამ ბანკში, ვიდრე სხვაგან იღებდა წინად, ასე რომ არც თვით ირგო იმ ბატონმა და არც სხვას არგო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მოკლედ მოვუთხრობთ მკითხველს, როგორი იყო დანარჩენი სამი ხანა ზნეობის ზრდისა და მატებისა, შარლ ლეტურნოს აზრით. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ პირველ ხანაში ზნეობის თავი და ბოლო ძალი და ღონეა: ვინც ძალოვანი და ხელ-ღონიერია, მართალიც ის არის, პატიოსანიც, პატივცემულიც, ბედნიერიც. მაშინვე გაჩნდა სამაგიეროს გადახდის გრძნობაცა. სამაგიეროს გადახდა იმ დროს მაინც წარმატება იყო კაცისათვის. თუმცა სამაგიეროს გადახდის გრძნობა ძალიან დაბალის თვისების გრძნობაა, მაგრამ მაინც, რაც უნდა იყოს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველს დროსა. შიში სამაგიეროს გადახდისა ჰლაგმავდა განადირებულს კაცის გულის-თქმას და ხელს უმოკლებდა ძლიერსა და თავზედ ხელ-აღებულს. ამ სახით ნელ-ნელა ეჩვეოდა კაცობრიობა საზოგადო ცხოვრებასა, მოყვრობასა და ურთიერთობასა.

მეორე ხანაში, ამბობს ლეტურნო, თან-და-თან შესუსტდა მხეცური ბუნება კაცისა და ცოტაოდენი გულ-ჩვილობა დაეტყო. ამ დროს უფრო მომთაბარობენ, მწყემსის ცხოვრებასა და საქონლის ჯოგთა ყოლას მისდევენ, ვიდრე ნადირობასა და ნადირობით ცხოვრებასა. ამ ხანაში ნელ-ნელა ხვნა-თესვაცა ჩნდება. საზოგადო ცხოვრების და მოყვრობა-ურთიერთობის ნასახი კიდევ მაინც არ იბადება. არსებობენ მხოლოდ თითოეულის გვარის ტომნი, ურდონი, რომელთაც არც კანონისა იციან რამე და არც წესისა და რიგისა. მაგრამ კაცის ჭამა მაინც აღარ არის. იმის მაგიერ ახლა ჩნდება მონობა, მაგრამ მონობა ფრიად სასტიკი, შეუბრალებელი და დაუნდობელი, უკაცური. კაცი კაცს აღარა სჭამს, თუნდა მტერიც იყოს. ახლა მტერს მონად იხდის, თუმცა შეუძლიან-კი, თუ მოინდომა, შესჭამოს როცა ისურვებს მაგრამ ეს უცნაური სურვილი ნელ-ნელა ეკარგება ადამიანს, გონება ეხსნება, ანგარიშს ეჩვევა, მოსაზრება ებადება. თუმცა კაცის სიცოცხლე მაინც არაფრად ფასობს, მაგრამ პატივის ცემა-კი ემატება. კაცის ჭამა თუ მოხდება, ისიც იშვიათად, კერპებისა და ღმერთების გულის მოსაგებად. აი ამ დროს რა ვალდებულებანი ჩნდება კაცისათვის: ნუ მოიპარავ ნურც შენის მეზობლის ქონებას, ნურც იმის ცოლს. იყავ მამაცი ომში. კაცს თუ მოჰკლავ, გაფრთხილდი, რომ შენც არ მოგკლან. გამოესარჩლე შენს ტომსა და ნათესავს, ულიტე იმათი მტრები, გიყვარდეს შენი ქვეყანა, იყავ პატრიოტი. მაგრამ უწინარეს ყოვლისა ბრმად ემორჩილებოდე შენს პატრონსა და მბრძანებელსა. აი ასეთი იყო მეორე ხანაში დაუწერელი კანონები და ვალდებულებანი.

მხეცურსა ანუ პირუტყულსა და ნადირის ხანას მოჰყვა მესამე ხანა, ხანა ბარბაროსული. ეს ხანა უკვე ისტორიას ეკუთვნის, თუმცა ჯერ-ჯერობით ბევრში ეტყობა პირვანდელობა ცხოვრებასა და ზნეობას ამ ხანაშიაც. აბა ჯერ ჩვენს დროში რომ სანთლით არის საძებნელი კაცთ-მოყვარული გრძნობანი და ზნეობრივი სათნოებანი, მაშინ საიდამ-ღა იქნებოდა. მაგრამ მაინც კაცობრიობა წინ არის წასული.

მაშინ უკვე ისეთი სახელმწიფოებია დაარსებული, როგორიც იყო ეგვიპტე, ასირო-ბაბილონი, საბერძნეთი და რომი. სწავლა-განათლება ჩნდება, კულტურა იბადება და ყოველივე ეს ასე თუ ისე მოქმედებს კაცის ბუნებაზე. ზნეობრივი სათნოებანი-კი მაინც, რასაკვირველია, იშვიათია. თვით განათლებულს საბერძნეთსა და რომშიაც-კი, რომელთ კულტურის წინაშე დღესაც მოწიწებით მუხლს ვიდრეკთ, კაცი საქონელი იყო და ისე იყიდებოდა, როგორც სავაჭრო ნივთი ბაზარში. მონობაც გაჩაღებული იყო. მონობაზეა დამყარებული მთელი კულტურა, სახელმწიფო წეს-წყობილება. სახელმწიფოში მხოლოდ უმცროს-ერთი, სულ რამდენიმე მოქალაქე თავისუფალი და ბატონი, რომელსაც უფროს ერთი, დიდ-ძალი უმრავლესობა მონობაში და საკუთარს მფლობელობაში ჰყავს. ბატონს მონაზე, ქმარს ცოლზე, მამას შვილზე განუსაზღვრელი უფლება აქვს და, როგორც ჰსურს, ისე ექცევა. უმაწვილების ხოცვა ცოდად არ იყო მიჩნეული ისეთს განათლებულს ქვეყანაშიაც-კი, როგორიც იყო სპარტა. მართალია, მონობამ ამ მესამე ხანაში თან-და-თან დაჰკარგა თავისი მკაცრი ხასიათი, მონებსაც მიეცათ საშუალება სწავლა-განათლებისა, იმათ შორისაც გაჩნდნენ მწერალნი და ფილოსოფოსნი, ბევრმა თავისუფლებაც მიიღო, ბოლოს მონობა ბატონ-ყმობად გარდაიქმნა კიდეც, მაგრამ მაინც-და-მაინც კაცს ნივთი ერქვა, ბაზარში გასაყიდი საქონელი იყო და კაცობისათვის პატივისცემა უცნობ ხილად ეჩვენებოდათ. ან რა უნდა ყოფილიყო ის განათლება, რომლის სიკეთე და გემოც მხოლოდ თითო-ოროლას ხვედრი იყო და უმრავლესობას ოდნავაც არ ეცხებოდა.

მეოთხე ხანა, ჩვენი ხანაა, რომელსაც ლეტურნო უწოდებს ფულის თაყვანების ხანას, მაგრამ ამ ჩვენს ხანაზე შემდეგ იყოს.

## უცხოეთი

გერმანია. ამ ჟამად ყველას თვალი და ყური მიქცეულია გერმანიისაკენ: ელიან, ნუ თუ მართლა ის ბისმარკი, რომელიც ამდენის ხნის განმავლობაში ევროპის პოლიტიკას საითაც უნდოდა, იქით მიუბრუნებდა პირსა, ნუ თუ ეს ბისმარკი თავს დაანებებს სახელმწიფოს მართვას და გადადგება სამსახურიდგანაო. ბისმარკის სახელი ისეა მიწებებული პოლიტიკასთან, თითქო თუ ბისმარკი არ იყო, აღარც პოლიტიკა იქმნებაო. თვით გერმანიაშიაც-კი ვერ წარმოუდგენიათ რომ ნუ თუ შესაძლებელია გერმანიის საპოლიტიკო საქმეების მართვა, თუ არ ბი-

სმარკის ზედამხედველობით, ბისმარკის ხელმძღვანელობითაო. გაზეთები მხოლოდ ამ ამბავზე ჰლაპარაკობენ და დღეს რომ ერთს იტყვიან, ხვალ თითონვე ჰყოფენ უარს თავის ნათქვამსა. მაგალითებრ, ამ ორიოდე დღის წინად «Kölnische Zeitung»-ი ამბობდა, რომ თ. ბისმარკს ნამდვილად აქვს გადაწყვეტილი სამსახურიდგან გადადგომაო. მერე თითონვე გამოაცხადა, რომ ბისმარკი ეხლა იქნება არ გადადგეს, მაგრამ შემდეგში-კი, ხვალ იქნება თუ ზეგ, ეს გადადგომა უეჭველიაო.

თ. ბისმარკს 1 აპრილს (ჩვენებურად 19 მარტს) შეუსრულდა 73 წელიწადი. ამ დღესასწაულის გამო სადილი ჰქონდა და სადილზედ დასწრო თურმე მემკვიდრე პრინცესა. თ. ბისმარკმა პირველ სადღეგრძელოდ იმპერატორ ფრიდრიხის სადღეგრძელო დალია. ამის შემდეგ წამოდგა თურმე მემკვიდრე პრინცი და შემდეგი სიტყვა უთხრა იქ მყოფთა: „ნება მომეცით, ბატონებო, ამ სადღესასწაულო შემთხვევის გამო, დაგიხატოთ გერმანიის ეხლანდელ მდგომარეობის სურათი, როგორც მე მგონია და წარმოდგენილი მაქვს. მე შემიძლიან ჩვენი სამშობლო ეხლა შევადარო ჯარის რაზმსა, რომელიც ბრძოლაში თავის სარდალს გამოჰკლებია და რომლის უფროსი ოფიცერიც მძიმედ დაჭრილი წევს. ამ გაჭირებულს დროს 46 მილიონის გერმანელის თვალი მიქცეულია დროშასა და მედროშეზედ, რომელზედაც არის დამოკიდებული ავიცა და კარგიც. ის კაცი, რომელსაც ეს დროშა უპყრია ხელთა, გახლავთ ჩვენი თ. ბისმარკი, ჩვენი დიდი კანცლერი. დეე გაგვიძღვეს წინა და ჩვენც ფეხ-და-ფეხ მივყვებით. გაუმარჯოს ჩვენს ბისმარკსა!“

ამ სიტყვამ გერმანიის მემკვიდრე პრინცისამ დიდი ლაპარაკი და ჩოჩქოლი უნდა ასტეხოს გერმანიაში. ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა, ან შეცდომით მოსვლია ახალგაზდა პრინცსა, ან იმიტომ-რომ მამის წინააღმდეგობა ჩაუდინა. ამბობენ, რომ თითონ ბისმარკიცკი არ არის მადლიერი იმ მეგობრობისა, რა მეგობრობაც მემკვიდრე პრინცმა გაუწიაო. ისე ცუდად იმოქმედა ამ სიტყვამ პრინცისამ, რომ ზოგიერთებმა გამოაცხადეს კიდეც, ვითომ იმპერატორ ფრიდრიხმა ადრევე იცოდა მემკვიდრე პრინცის სიტყვის შინაარსიო. ეს ამბავი გაზეთებმა ისევე უარ-ჰყვეს, — იმპერატორს ფრიდრიხს არა სცოდნია-რაო.

**ოსმალეთი.** სომხეთის საქმე ჯერ ისევ დაშში არ მოსულა; თუმცა ბერლინის ხელ-შეკრულობით დაადგინეს, რომ ზოგიერთი შეღავათი უნდა მიეცეს სომხეთსაო, მაგრამ ოსმალეთი ამ შეღავათის მიცემას ჯერ არ ისწრაფის და არა ჩქარობს. აი ეხლა სომხების საქველ-მოქმედო საზოგადოებას მიუმართავს ლორდის სალისბერისათვის თხოვნით, რომ ბერლინის ხელ-შეკრულობაში მოხსენებულ შეღავათის მიცემას როგორღაც აყოვნებს ოსმალეთი; იმედი გვაქვს, რომ ინგლისის კაბინეტი ამ მხრივ ეცდება რასმე ოსმალეთის მთავრობის წინაშე და დაპირებულს შეღავათს მოაცემინებსო. ლორდს სალისბერს თავის მდივნისათვის მიუნდვია, რომ წერილით პასუხი გაეცა სომხთა დეპუტაციისათვის. აი ეს წერილი:

„მე მომანდო ლორდ სალისბერმა გაუწყოთ, რომ თქვენი წერილი 15 მარტიდგან მიღებულია, რომელშიაც სჩივით, ოსმალეთი აყოვნებს სომხებით დასახლებულს ადგილებში იმ ცვლილებათა შემოღებას, რომლის შემოღებაც დადგენილია ბერლინის ხელ-შეკრულობის მე-61 მუხლითაო.

„შემიძლიან გაუწყოთ, რომ პირი თქვენის თხოვნისა გაეგზავნება ჩვენს ელჩს სტამბოლში და ის შეგვატყობინებს, სასარგებლო იქმნება თუ არა, რომ თქვენი თხოვნა ეხლა ოსმალეთის მინისტრებს გარდავცეთ განსახილველად.

„ამასთან უნდა შევნიშნო, რომ იმ საგნებში, რომელიც მოხსენებულია ბერლინის ხელ-შეკრულობაში, მარტო ინგლისის შუამავლობა ვერას გააწყობს, თუ სხვა სახელმწიფონი, რომელთაც ხელი უწერიათ ბერლინის ხელ-შეკრულობაზე, ინგლისს არ მიემხრობიან და მხარს არ დაუჭერენო“.

# დეპეშა

31 მარტი

**პეტერბურგი.** სენატმა ხელ-მეორედ უარ-ჰყო ტფილისის სასამართლოს პალატის განაჩენი ანტონ ყორღანოვის საქმის შესახებ, მე-928 მუხლის დარღვევის გამო, და დაადგინა, რომ ეს საქმე გადაეცეს ხელ-მეორედ განსახილველად იმავ პალატას, ხოლო წევრნი ამ პალატისანი სხვანი უნდა იყვნენო.

1 აპრილი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოში შეუტანიათ პროექტით იმის თაობაზე, რომ გაუქმებულ იქმნას საქალაქო გადასახადი იმ საქონელზე, რომელიც შემოაქვთ მდინარებით. ეს გადასახადი უნდა იხადონ იმ საქონელზე 1893 წლამდე. ამ წლიდგან გადასახადი უნდა შემცირდეს თითოეულ ხუთს წელიწადში ერთს მესამედზე.

თურქესტანისა და სემირეჩინის მაზრებში უნდა შემოიღონ წესდება თამბაქოზე გადასახადისა. წესდებაში ამ ქვეყნების შესაფერი ცვლილება უნდა შეიტანონ.

პეტერბურგის ბირჟა 29 მარტი

| | მყიდველ-ნი. | | გამყიდ-ველნი. | | გაყიდუ-ლნი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — | ,, | — | ,, | 9 | 48 |
| ტამოჟნის კუპონები . | — | ,, | — | ,, | 198¾ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — | ,, | — | ,, | 1 | 41 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — | ,, | — | ,, | 268½ | |
| —მეორისა . . . . . | — | ,, | — | ,, | 245½ | |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7396**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აპრილი 30 დღით არის.

2 დღე შაბათი. ღირსისა ტიტისა და პოლიკარპისა. კათოლ. პავლესი. მუსულმ. მე-3 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—21, ჩადის 6—40. მთვარე 4 დღისაა.

3 დღე კვირა. წმ. ნიკიტასი და ნექტარინასი. კათოლ. პლატონისა. სომეხ. წარღვნის მოგონება. მუსულ. მე-4 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—41. მთვარე 5 დღისაა.

4 დღე ორშაბათი. ღირსისა ზოსიმესი, გიორგისა და იოსებისა. კათოლ. ეპ. ისიდორესი. სომეხ. სოდომ-გომორის დაქცევის მოგონება. მუსულმ. მე-5 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 5—19, ჩადის 6—43. მთვარე 6 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . . | 3 | » |
| 2 › | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › » 2 › | 3½ | |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | › |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ძროხის ხორცი . . . | 9 | › |
| › 2 › | 8 | › |
| სუკი . . . . | 16 | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | › |
| › 2 › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის | | გადის | |
|---|---|---|---|---|
| | საათ. | წამი. | საათ. | წამი. |
| | დილით | | | |
| ტფილისი. | — | — | 8 | 49 |
| ავჭალა. . . . | 9 | 9 | 9 | 11 |
| მცხეთა. . . . | 9 | 32 | 9 | 40 |
| ქსანი . . . . . | 10 | 3 | 10 | 05 |
| კასპი. . . . . . | 10 | 33 | 10 | 36 |
| გრაკალი . . . | 10 | 59 | 11 | 1 |
| გორი. . . . . | 11 | 25 | 11 | 40 |
| ქარელი . . . | 12 | 8 | 12 | 11 |
| გომი . . . . . | 12 | 37 | 12 | 41 |
| ხაშური . . . . | 1 | 2 | 1 | 17 |
| სურამი . . . . . | 1 | 29 | 1 | 32 |
| ფონი. . . . . . . | 2 | — | 2 | 3 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 |
| მარელისი . . . | 3 | 45 | 3 | 48 |
| ბელაგორი. . | 4 | 15 | 4 | 18 |
| ძირულა. . . . . | 4 | 45 | 4 | 48 |
| ყვირილა. . . | 5 | 26 | 5 | 40 |
| აჯამეთი . . . . | 6 | 14 | 6 | 16 |
| | საღამოთი | | | |
| რიონი . . . . . | 6 | 29 | 6 | 44 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 |
| საჯავახო. . . | 8 | 5 | 8 | 7 |
| ნიგოითი . . . | 8 | 27 | 8 | 30 |
| ლანჩხუთი . . | 8 | 42 | 8 | 46 |
| სუფსა. . . . . . | 9 | 19 | 9 | 27 |
| ნატანები. . . . | 9 | 52 | 9 | 55 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 |
| ბათუმი . . . . | 11 | 13 | — | — |

| სტანციები | მოდის | | გადის | |
|---|---|---|---|---|
| | საათ. | წამი. | საათ. | წამი. |
| | დილით | | | |
| ბათუმი. . . . | — | — | 8 | 4 |
| ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| ნატანები. . . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| სუფსა . . . . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| ლანჩხუთი. . . | 10 | 35 | 10 | 39 |
| ნიგოითი. . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| საჯავახო . . . | 11 | 14 | 11 | 16 |
| სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| რიონი . . . . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| აჯამეთი . . . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ყვირილა. . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ძირულა . . . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| მარელისი. . . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ფონი . . . . . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| | საღამოთი | | | |
| სურამი. . . . . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| ხაშური. . . . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| გომი . . . . . . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| ქარელი. . . . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| გორი . . . . . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| გრაკალი. . . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| კასპი . . . . . . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| ქსანი . . . . . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| მცხეთა . . . . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ავჭალა. . . . . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 |
| გრაკალი. . | 6 | — | 6 | 3 |
| | საღამოთი | | | |
| გორი. . . | 6 | 31 | 6 | 45 |
| ქარელი. . . | 7 | 18 | 7 | 24 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ღამით | | | |
| სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | დილით | | | |
| კასპი. . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქსანი. . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების»

სასარგებლოდ გამართული იქნება მუშტაიდში

**ლოტერეა-ალეგრი**

აპრილის დამლევს ან მაისის დამდეგს.

ვინც კეთილ-ინებებს და რაიმე ნივთს შემოსწირავს საზოგადოებას, ვსთხოვთ გამოგზავნოს ან ოლგა თადეოზის ასულის კნ. ჭავჭავაძის სახელობაზე (Ново-Бебутовская ул., домъ Зубалова, № 9), ან «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, №№ 109 и 110).

**კანცელარია და წიგნთ-საწყობი**

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა გადავიდა ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სახელმძღვანელოები, ვინც ქალაქს გარედ ს[illegible]ნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება გარდა კვირა-უქმეებისა დილის 9 საათიდა საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რაიმე საქმე ექმნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) Общества распространенія грамотности Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110. (50—14)

Доз. цен. Тиф., 2 апрѣля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე